

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 8 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**ლევან ბეჟაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

**ზურაბ ბუცხრიკიძე** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

**ვალერი გელბახიანი** – საქართველოს პარლამენტის წევრი;

**ნიკოლოზ გვარამია** – საქართველოს პარლამენტის წევრი;

**რომან გოცირიძე** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე;

**ზურაბ ნოღაიძელი** – საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

**გიორგი პაპუაშვილი** – საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

**გიორგი ცაგარეიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის მოადგილე მ. მაჭავარიანი

თბილისი,

2004 წლის 9 დეკემბერი.

№632-III